

ხელოვანის  
ტექსტი



www.tpa.fund  
info@tpa.fund

ანა  
გბირიშვილი  
ცენტრალური  
ბაზარი

## მესამე ნაწილი Doll-Phinarium (თოჯინების აკვარიუმი)

დედაჩემი, გრძელი და დაულალავი მოთხოვნების შედეგად, ბათუმის დელფინარიუმში წავიყვანე. როგორც ჩანს, სანახაობა ყოველდღე სავსე დარბაზს ემართება, უამრავი ბავშვებია. ცხოველების ზოოპარკებს ვენინააღმდეგები, ამიტომ საკუთარი პრინციპების წინააღმდეგ წავედი, რათა დედისთვის მესიამოვნებინა. არ მქონია მოლოდინი, თავს რაში ამოვყოფდი. შევაბიჯე თუ არა სანახაობის სივრცეში, დავინახე, როგორ არტყამდნენ დელფინები წრეებს ნახევარწრე აუზს. გამოაცა დელფინების სრიალა კანების ასე ახლოდან ხილვამ. დავსხედით, განცვიფრებული ვიყავი. მუსიკა ჩაირთო და დელფინები მეთად გამხიარულდნენ, აუზს წრეების რტყმა უწყეს, წყლიდან იჭყიტებოდნენ, მაყურებელს სალამს ეუბნებოდნენ და მცირე ხრიკების კეთებასაც მოჰყვნენ. თავგზააბნეული ვიყავი, ნუთუ დელფინები მუსიკაზე რეაგირებენ? როგორ, მათი ნერვული სისტემა როგორღაც კავშირშია რიტმთან? ვიღაც საიდუმლოდ ხომ არ მართავს დელფინებს, წყალქვეშ სიგნალებს ხომ არ აწვდიან? რა მოხდება შემდეგ? ესენი ხომ თევზებია წყალში, რა წარმოდგენა უნდა დაგვიდგან? მხოლოდ დელფინები იქნება თუ ადამიანებაც გამოჩნდებიან?

სანახაობის წამყვანი გამოჩნდა აუზის გვერდით და მიკროფონში გაისმა განცხადება, რომლითაც მან წარმოდგენა გახსნა; აუზის უკან, ხელოვნური კლდოვანი გაფორმებიდან ოთხი კაცი გამოჩნდა. ცალ ხელში თევზით სავსე სათლები ეჭირათ, მეორეს მაყურებელს უქნევდნენ. დაწყვილებული დელფინები მიცურდნენ ოთხ კაცთან, თითოეული მათგანი ცნობდა საკუთარ მწვრთნელს. წამყვანი დელფინების სახელებით წარდგენას შეუდგა, ხოლო მწვრთნელი დელფინს მიანიშნებდა და თევზს ისროდა მის თავსზემთ, რა დროსაც, ერთი მეორის მიყოლებით, დელფინები წყლიდან ხტებოდნენ. კიდევ ორი, ბავშვი დელფინი წარგვიდგინეს, რომლებიც ასევე წარმოდგენის ნაწილები იყვნენ, და აქვე დაურთეს განმარტებაც, რომ ყველა მათი დელფინი დელფინარიუმში იბადება და იზრდება. გაისმა დინამიური, მაღალი მუხტის მატარებელი მუსიკა, მწვრთნელები აუზის წინ გამწვრივდნენ და დელფინებისთვის ნიშნების მიცემას მოჰყვნენ, მათი ილეთების

წარსამართად. მე ტირილი ამიტყდა და ვერ ვწყვეტდი. თვალებს ვერ ვუჭრებდი. კაცი ხელს მარჯვნივ გაიწვდიდა და დელფინი მარჯვნივსაკენ ისკუპებდა და განსაზღვრულ ილეთს ატარებდა. ყოველი მოქმედების შემდეგ ჯილდოდ თევზს იღებდნენ

რატომ ემორჩილებიან ეს ზღვის ცხოველები ამ ადამიანურ სანახაობას, ადამიანთა მითითებებს? მართლა ესმით მუსიკა? დადგმულ ქორეოგრაფიას ასრულებენ თუ სპონტანურია მათი ქმედება? როგორ იწრთვებიან, როგორ გადიან რეპეტიციებს?

დელფინებმა შეასრულეს ესა თუ ის ქორეოგრაფირებული ნომერი, მათი მწვრთნელების ფრიალა ხელების ოდნავი გადაადგილების მიხედვით. მაგიას ჰგავდა, ეს ბუნდოვანი კავშირი ხელის ტრაექტორიასა და დელფინში აღძრულ მოძრაობას შორის.

სირცხვილს ვგრძნობდი, რომ წარმოვადგენდი იმ დამსწრეთა ნაწილს, რომელთა გულისთვისაც დელფინებს ამ სანახაობის დადგმა უწევდათ.

ბებია მომიყვა ზღაპარს ახალგაზრდა ქალის შესახებ, გრძნეულებით რომ ბაყაყად იქცა. ღამით კვლავ ქალად იქცეოდა. ერთი ღამითაც, ნადიმობისას, გამოცდა მოუწყო მამამთილმა: ქალს მოვერცხლისფრო-თეთრი კაბა ემოსა, გრძელი, თეთრი, გირჩებივით მოყვანილი სახელოებით, რომლებიც ფრთებს ჰგავდნენ, როგორც ოსური კაბები.

სუფრას მიუჯდა, რათა სტუმრები მოეხიბლა; ქათამს შეექცეოდა და ძვლებს ერთ-ერთ სახელოში ინახავდა, მერე მეორე ხელს გაიწვდიდა და იქიდან გედები ცვიოდა, ლაზათიანად გადაცურავდნენ სივრცეს. ქათმის ძვლებს მფრინავ გედებად აქცევდა, სტუმრები შთაბეჭდილების ქვეშ იყვნენ. სახელოებით სხვა ნივთებსაც უცვლიდა სახეს, აჩენდა ჰაერში მოტივტივე პურს ან ღვინოს, რომელიც თავისით იღვროდა.

ერთ-ერთი მწვრთნელი წყალში ჩახტა, გაცურა და აკრობატული ილეთი ჩაატარა დელფინებთან ერთად. მივხვდი, რომ ეს მწვრთნელებიც ისევე იყვნენ გამართობები, როგორც მათი დელფინები.

## პერფორმანსი ცენტრალურ ბაზარში

პერფორმანსი ბაზრის პირველ სართულზე გაიმართება, გასასვლელში, ვესტიბიულთან ახლოს. მასში იმონაწილევენ ერთი მსახიობი, ერთი მოცეკვავე და ერთი წინასწარ ჩანერილი ხმა.

მსახიობი, მაგდალენა, ითამაშებს ტურისტს, რომელიც ევროპიდან ჩამოდის ცენტრალური ბაზრის მოსანახულებლად, უცხოური წარმოების ფილმისათვის ლოკაციის ძიებაში. მოქმედება ყოფილი კინოთეატრი “საპოვნელას” წინ წარიმართება, კინოთეატრი პირველ სართულზე, ვესტიბიულთან არის განლაგებული. წარმოდგენისთვის შევალბებ სივრცეში შემავალ კარს, რომელიც ათწლებულია, რაც ჩარაზულია. მაყურებლები დერეფნის კედლების გაყოლებაზე და ვესტიბიულის შუაგულში მოიყრიან თავს.

დასაწყისს, პერფორმატიული სიტუაციას წინასწარ ჩანერილი ხმა შემოიტანს; ის წარგვიდგენს ჩვენს ადგილმდებარეობას – პერფორმანსის დროსა და სივრცეს. მაგდალენა დანიშნულების ადგილას მოვა, გადამღები ჯგუფის წევრთან იქნება სატელეფონო საუბარში ჩართული. იგი ხსნის, სად არის და რას ხედავს, აკვირდება, ფოტოებსა და ვიდეოს იღებს და ჯგუფს უგზავნის. სანამ ის სივრცეს შეისწავლის, კინოთეატრიდან მოცეკვავე გამოვარდება, ტრიალით შეერევა ბრბოს. ოლიმპიას – ჰომანის ზღაპრების მოცეკვავეს მიბაძავს მისი მოძრაობები.

ოლიმპია ხალხს შორის ტრიალებს, წყვეტს და ხელახლა იწყებს ქორეოგრაფიას, მხრებსა და თავს ნაზად ამოძრავებს, თითქოს შეყვარებული იყოს. იგი შეყვარებულია, და მაყურებელსაც აყვარებს თავს. სიყვარულისგან ბედნიერდება, ილიმის და სიხარულით ცეკვავს, თანდათან ალტკინება იპყრობს, მეტი და მეტი გავეშებიტა და შეურაცხადად მოძრაობს. ის სახიფათო ხდება, შეუჩერებელი, შეშლილი. ხალხი ნელ-ნელა შენიშნავს, რომ რაღაც ისე ვერაა. ოლიმპია მონოტონურად აქტიურ რიტმში იმეორებს მოძრაობებს, ხალხს უგულუბელყოფს და თვალეებში ფუტურო მზერა უდგას. მისი სიხარული ყალბია და სასტიკი. დამსწრე საზოგადოება ნელ-ნელა ხვდება, რომ მოცეკვავს წარმოდგენის შეწყვეტა არ შეუძლია. ბზრიალებს, ბზრიალებს, მას ვერავინ გააჩერებს... უეცრად იკეცება, ნელში ტყდება, იკეცება, როგორც თოჯინა. რამდენიმე წამში ქრიალის, ნჭღრევის ხმა გაისმება, თითქოს ღილაკები გადაატრიალესო, მოცეკვავე წამოიძარტება და ხელახლა წამოიწყებს სანახაობას, ჩვეული მოხდენილობით.

ცენტრალური ბაზრის პერფორმანსის დროს ხმა შექმნის დრამატურგიულ სტრუქტურას. მომუშავე მექანიზმის ხმები „ამოქმედებენ“ გარკვეულ მოძრაობებს. პერფორმანსის სხვადასხვა მონაკვეთები მოიცავს ერთი იმავე შემსრულებლების მიერ განსხეულებულ ახალ-ახალ პერსონაჟებს. წარმოდგენის მეორე აქტში ორი მსახიობი იქნება – მაგდალენა და მოცეკვავე უბრალოდ აუვლიან და ჩაუვლიან ერთმანეთს დერეფანში, შემსრულებლები შეინარჩუნებენ თავიანთი წინარე პერსონაჟების ამა თუ იმ ასპექტს. აგრეთვე, ისინი ლამის ამოიცილობენ წინა პერსონაჟებს ერთმანეთში, დეჟავიუს მსგავსად.

ძალის შეკავება, რათა მოგვიანებით გადმოინთხეს.

ჩემს თავს ვუყურებ, ბაზრის დერეფანში მიმავალს.

თავად ვშინდები, როცა ჩემს ორეულს ვაშინებ  
შეშინებული თვალეებით შემომცქერის

და მეც

მე ვარ ძრწოლა, განვიციდი მას და ვინვეც მას

ამ ძრწოლის გამონვევასა და განცდას თავიდან ვიცილებ

ჩემი სხვა სხეული ჩემზე უკეთ ეკუთვნის იმავე სამყაროს იმავე მინას იმავე საგნებსა და ხდომილებებს

მე ვარ ის ვინც უღალატა

ის ვინც აკონტროლებდა და თავს უკრძალავდა

პირველი ის ამარიდებს თვალს

რომ გაივლი თოჯინად გარდაიქმნები

ცხოვრებას შეჩეხებული ხელები

სიტყვები იმ განცდების გადმოსაცემად, რომლებიც მამუნჯებენ

შთაბეჭდილება, რომელიც შთანმთქავს,

და სიტყვები არ მყოფნის რომ დავახასიათო, უმარტივესი სიტყვების გამოყენება მომიწევს

ისე რომ მკითხველი მიხვდება რომ სიტყვები არ მყოფნის –

მაგ. თეთრი ყვავილების კონა ტროტუარზე

მწვანედ დაწინკლული რძე, ბალახზე მოფენილი თესლი, მწვანეზე

ისე, რომ ტექსტში ხვრელი - სიცარიელე გაჩნდეს მყისიერი მძლავრი შეგრძნების შედეგად

უბრალო სიტყვები გარშემორტყმული დაგეგმილი, მოფიქრებული სიტყვებით ჩემი სიტყვათა ზარდახშიდან ამორჩეული – გადაწყობილი ნაპოვნი საგნები ჩემს ტექსტს ღრმულეები ექნება  
თითო ღრმული თითო ძლიერი გრძნობის ადგილას

სიტყვებისა და გამოხატულებების ქსოვილში ღრმულეებში ჩავვარდები

ახლა მაყურალი ვარ, ჩემი მზერა სამყაროს განსაზღვრავს

უცხო ქალაქის ბინებში, რომლებშიც ვრჩებოდი, შემზარავი სიკვდილების შემსწრე ვხდებოდი.

ვუყურებდი, როგორ იშლებოდა ეს საშინელი მკვლევლობები ჩემს თვალწინ, და არ ვიცოდი, სხვები თუ მხედავდნენ, თუ ვარსებობდი მათთვის, თუ უბრალოდ სიზმრის მნახველი ვიყავი.

გარკვეული პრაქტიკული გარემოებების გამო მომინია დანაშაულის ადგილებში დაბრუნება და საჯარო ტრანსპორტის გამოყენება. ვლელავდი, თვითმხილველად ჩავითვლებოდი თუ დანაშაულის თანამზრახველად, ზნეობრივი თუ სამართლებრივი კუთხით. მქონდა იმედი, რომ ქალაქის მაცხოვრებლებისთვის არც ვარსებობდი. ვიცოდი, რომ სიზმარს ვხედავდი. მატარებლიდან მატარებელში ვჯდებოდა, მათ ძალიან ნათელი და უშველებელი ფანჯრები ჰქონდათ, გარედან უხვად შუქი შემოდის. ავტობუსს გავყევი ბინამდე, ის ზუსტად ლამაზი, ხუთსართულიანი ევროპული შენობის წინ გაჩერდა და მე შიგ შევაბიჯე, ბინა მაღალ სართულზე მდებარეობდა. დიდი, ცარიელი ბინა იყო, სივრცით სავსე, იატაკზე მატრასი ეგო. ბინა ფოტოგრაფის სახელოსნოს ჰგავდა.

ამ ბინაში საშინელი მკვლევლობა მომხდარიყო წინა ღამით. არ მძინებია და ბინაში დანაშაულიდან რამდენიმე საათში უნდა დავბრუნებულიყავი. ღამე არარეალური იყო, მოქმედებები ხელოვნური შუქით განათებული, დილის შუქმა თან რეალობა მოიტანა, და მომხდარის საშინელება მეტად ხელშესახები გახადა. ღამე ახლა წყვეტილია დილის რეალობას, არ ვარ დარწმუნებული, წინა ღამე ნამდვილი იყო თუ არა, და კიდევ ერთი კითხვა: მართლა იქ ვიყავი თუ არა?

ამ ქალაქში გავლით ვიყავი, დაღლილი, წამოწოლა მჭირდებოდა, დასარჩენი არსად მქონდა და ეს ცარიელი ბინა მომაგონდა, კარდია, მახსოვდა სად მდებარეობდა და დასაძინებლად იქ გავეშურე, იმედით, ვერავინ გაიგებდა.

ვიცოდი, თავს საფრთხეში ვიგდებდი, ვიცოდი, სისულელე რომ იყო დანაშაულის ადგილას დაბრუნება. იმის იმედსაც ვიტოვებდი, რომ მკვლევლობა სიზმარი იყო ან მოლანდება.

მაგრამ ვიცოდი, რომ ნივთი შემომრჩა ამ შემთხვევიდან, პარაფინის კუბი, საპონის მსგავსი, რომელიც ერთ-ერთმა მკვლელმა მომცა, მე კი სადღაც შევინახე. ჩემს ბარგში იდო. ისეთი დაღლილი ვიყავი, თავს ვერაფრით ვაჭობე, ამიტომ ბინაში მივედი დასაძინებლად.

იმავ დღეს, მოგვიანებით, მატარებელს გავყევი სხვა ბინისაკენ, ცენტრიდან ოდნავ მოშორებით. იქ ჩემი ბარგი უნდა ამელო და ჩავლაგებულიყავი, და ნივთების მოგროვებამ უამრავი დრო წაიღო. გამომძიებლები მოადგნენ ამ ადგილს და დაკითხვა დამიწყეს, სანამ მე ჩემს ნივთებს ვუყრიდი თავს.

ვიცი, რომ ბარგში პარაფინის კუბს მოჰკრა თვალი, ვიცოდი, რომ ასეთივე საგანი დანაშაულის ადგილზეც ნახა. პირდაპირ არაფერს ვამბობდით.

ბებიასთან ერთად ვმოგზაურობდი, ჩვენი გზები გაიყარა, ის დაწინაურდა, უკვე ჩინეთში იყო, მე მის კვალს მივყვებოდი, და დასარჩენი არსად მქონდა.

ნემესისი

ხელი იღვიძებს, განვდილი ხელი, ხელი დამვლები  
ხელი, რომელიც სკულპტურებს ძერწავს, რომელიც კარებს აღებს და ხურავს.

მკერდი ჰაერით ივსება, იზრდება და გარემდებაარე ჰაერს ხვდება, როცა ქუჩა-ქუჩა დავდივარ

ღონიერი ნაჭუჭი, რომელიც საგანთა ზვავს გადაიტანს  
ჯერ სკულპტურები ჯერაც ვერ შეედრებიან მშვენიერებას, რომლითაც ჩემი სახე და ჩემი  
სხეული არსებობენ სამყაროში

სკულპტურას მივცე

სკულპტურას მივცე ჩემი ნაწილები

დასაძინებლად ვწვები და მაგონდება, როგორ შევნიშნე ბეი ჩემს სახელოსნოში, მანამდე  
როგორ ვუყურებდი და ვერ ვამჩნევდი.

ახლა გარემო ჩემს ცნობისმოყვარეობას აღძრავს, ახლა მახსენდება რასაც მანამდე ვერ  
ვხედავდი, ბეი ბაზარშია განთავსებული, თბილისის სხვა ბაზრობაზე, ნაწარმს, დახლებსა  
და ნიშნებს შორის.

ის შიშველი მიაბიჯებდა ბაზარში. მე ის გაშიშვლებული და მოწყვლადი განვათავსე  
საჯარო სივრცეში.

მთელი ეს დრო, ყველაფერი ბაზარში სიარულზე იყო, მის გავლაზე. ახლადა შევნიშნე, თუ  
ახლადა მივხვდი.

ბაზრის ორომტრიალში სიარული, მისი ჩავლა და თაღში შებიჯება, – ჩემი სახელოსნო

ჩემი სახელოსნოს ღია კარში ვდგავარ, სახელოსნო ბუნებაში მდებარეობს. სივრცე  
მოღებულა ჩემი სხეულის წინაშე, მდელოებსა და ხეებს შევცქერი. კარის ჭრილში  
ვდგავარ და ხელებს ისე ვალაგებ, როგორც აქამდე არასდროს, ხელებს მაღლა ვიწვდი და  
ხელისგულებს კარის ჩარჩოს ვაყრდნობ, როგორც უფროსი. უეცრად ცხენოსანს განვიციდი  
ხერხემალში, და სხეული ძალით მევსება. ბებია მახსენდება ამაზე, ალბათ ის მდგარა  
ასე, ან განუცდია რამე ასეთი.

მკლავები სიამაყითა და ძალით მევსება. ძალას იკრებენ ჩემი მკლავები და მუშტები,  
იკრებენ, იკრებენ – როგორ ამოინთხეოდა ეს ძალა, როგორ გამოვთქვა და განვაგრცო  
ჩემი ძალა გარეთ.

ეზო მჭირდება

მინდა თავდავიწყებით მივცე მასალებით სავსე ეზოს, რაც მომინდება ის ვუქნა  
მატერიას ჩემი მძლავრი ხელებით.  
ჩემი გონება მამაჩემის (ჩემი კაზაკი ბებიის ვაჟის) ეზოებსა და გარაჟებში ეშვება.

ახლა ვხვდები, როგორ ვერგებით მე და მამაჩემი, როგორც ქალიშვილი და მამა,  
ერთმანეთს. რადგან მას აქვს ზუსტად ის, რაც მე მინდა – სივრცე ქალაქის პირას,  
სამშენებლო ჯართი და თავისუფლება. მე გავიფურჩქნები მის ამ უჩვეულო და რთულ  
სივრცეებში, სივრცეებში, უნინ რომ მძულდა.

ძველი ხის ნაგებობებით გავსებულ ნაგავსაყრელზე ვდგავარ და ვტრიალებ ხის სკამზე  
ვცდილობ ნამსხვრევებად ვაქციო და ფეხებით ვქანაობ მასზე, და ფიცრებს ძირამდე  
ვანწვები.

უამრავი ხის ნაგებობაა ეზოში, რომელიც თავისუფალია, ჩემთვის, რომ გავანადგურო,  
რასაც სიხარულით ვშვრები,

ნაგებობებს ზარზეიმით ვაფშვნი კედლებს  
ნგრევის აღტაცება – სიხარულისა და ძალმომრეობის ნაზავია ეს.

პირველმა ხელებმა იჯანყეს,  
ერთია მუშტი ტკივილისა თუ გამარჯვებისთვის.

ჩემი ხელების აჯანყებამ გზა დაუთმო სივრცეს,

ის მოვიდა და თან ახლდა...

ჩემს წინ, სივრცეს რომ გავყურებ, ვგრძნობ ცხენოსანს ჩემს ზურგში

როცა რამეს გადავწყვეტ, ფლოქვების დოლისცემა ჩამესმის, კაზაკების ურდო  
ახლოვდება, დამიმგზავრებენ, მინდვრებში მივყვები. ძალდაუტანებლად ვერწყმით  
ერთმანეთს და გადაწყვეტილების ველისკენ მივმუშურებით, ცხენების ქენებით.

ვქმნი და ვათავსებ სკულპტურას, ადგილს ვუჩენ, და ის სივრცეს აჩენს, ველს ხსნის, მერე  
შევდივარ ამ სივრცეში. ჩემი სკულპტურა ჩემს წინაშე არსებობს დროსა და სივრცეში, მე  
კი მას ვსდევ, ნაბიჯ-ნაბიჯ.

ჩემი ხელები მძვინვარედ იწყებენ არსებობას.

ცხოვრებას შეჩეხებული ხელები  
ხელი, რომელიც მასას ადევს, ჩემს წინ აღმართულ პლასტილინის კედელს.  
ხელი, რომელიც კარებს ალებს და ხურავს.